საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "02" 12 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1690/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 18 ნოემბერს N 74771/03 განაცხადით სააქციო საზოგადოება „ჯი პი სის" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა (მის: მარჯანიშვილის ქ. 26, 0102, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „NDC 53746-464-05 Ibuprofen Tablets, USP, 400 mg pharmacist Rx only 500 tablets amneal" (რომელშიც შემავალი ყველა სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნა გარდა „amneal"-ისა არ წარმოდგენს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს) (რეგ. N 24323) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „NDC 53746-464-05 Ibuprofen Tablets, USP, 400 mg pharmacist Rx only 500 tablets amneal" (რომელშიც შემავალი ყველა სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნა გარდა „amneal"-ისა არ წარმოდგენს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს) (რეგ. N 24323) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 29.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 29.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „NDC 53746-464-05 Ibuprofen Tablets, USP, 400 mg pharmacist Rx only 500 tablets amneal" (რომელშიც შემავალი ყველა სიტყვიერი და ციფრობრივი აღნიშვნა გარდა „amneal"-ისა არ წარმოდგენს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს) (რეგ. N 24323) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N440), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.12.2013.

ასლი სწორია
02 12 2013 წ.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სააქციო საზოგადოება „ჯი პი სის“ წარმომადგენელს დავით ზურაბიშვილს (მისამართი: ნაფარეულის ქ. 18, ბ.7, 0179, თბილისი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24323

მფლობელი: სააქციო საზოგადოება „ჯი პი სი“

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. 26,, 0102 , თბილისი, საქართველო

კლასი: 5 - ფარმაცევტული პრეპარატები.